ტრამპის სატარიფო პოლიტიკა - საფრთხეები და პოტენციური შეედეგები

ეგნატე შამუგია[1]

ამერიკის ერთ-ერთ დამფუძნებელ მამას, ბენჟამინ ფრანკლინს, ეკუთვნის ფრაზა: „არც ერთი ერი არ დაზიანებულა ვაჭრობით, თუნდაც ის, ერთი შეხედვით, ყველაზე არახელსაყრელი ჩანდეს“. თითქმის სამი საუკუნის შემდეგ, ამერიკის შეერთებული შტატების რიგით 47-ე პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის, საპრეზიდენტო საქმიანობის მეორე კვირა დაიწყო სამი ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნიდან საქონლის იმპორტზე ტარიფების დაწესებით: ჩინეთიდან ყველა სახის საქონელზე დამატებით 10%-იანი სატარიფო განაკვეთი დაწესდა, ხოლო მექსიკიდან და კანადიდან იმპორტზე 25%-იანი ტარიფები იმოქმედებს (გამონაკლისია კანადიდან ენერგორესურსები, რომლებზეც 10%-იანი სატარიფო განაკვეთი დაწესდება)[2]. ამჟამად, თავისუფალი ვაჭრობის საერთო შეთანხმების გამო, ამ ორი ქვეყნიდან უმეტეს საქონელზე საიმპორტო გადასახადი არ არსებობს, ან ზოგიერთ პროდუქციაზე ძალიან მცირეა[3].

ტარიფების შემოღების გაცხადებული მიზეზია ამ ქვეყნებზე „პასუხიმგებლობის დაკისრება, მათი დაპირებების დაყოვნების გამო, არალეგალური მიგრანტებისა და მომაკვდინებელი ფენტანილისა და სხვა ნარკოტიკული საშუალებების აშშ-ში შემოტანის შეჩერებაზე“[4].

საპასუხოდ, კანადის პრემიერ-მინისტრმა ამერიკულ პროდუქციაზე 25%-იანი გადასახადის დაწესება გამოაცხადა, ხოლო მექსიკის პრეზიდენტმა მსგავსი ზომები, განაკვეთის დასახელების გარეშე, დაანონსა. ჩინეთმა თქვა, რომ „აუცილებელ კონტრზომებს“ მიიღებენ.

---

[1] კვლევითი ინსტიტუტი Gnomon Wise, e-mail: e.shamugia@ug.edu.ge

[2] მოგვიანებით, ტრამპმა ახალი ტარიფები გამოაცხადა. ამჟამად ყველა ქვეყნისთვის, გამონაკლის გარეშე, 25%-იანი სატარიფო განაკვეთი იმოქმედებს აშშ-ში ფოლადისა და ალუმინის იმპორტზე. ამით, ფაქტობრივად, ევროკავშირთან და დიდ ბრიტანეთთან ადრე არსებული საგამონაკლისო შეთანხმება გაუქმდა, ხოლო ახალი სატარიფო განაკვეთების ამოქმედებამდე, მოსალაპარაკებელი დრო დარჩა. გამოცხადებული ტარიფები მიმდინარე წლის მარტის შუა რიცხვებიდან უნდა ამოქმედდეს.

[3] ეს შეთანხმება, რომელმაც ჩაანაცვლა 1994 წლიდან არსებული ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, 2020 წლის ივლისიდან ამოქმედდა. არსებული შეთანხმებიდან გამომდინარე, ტარიფები არ არსებობს ან/და მინიმალურია: Contreras, J., & Lovely, M. (2025). *Which imports from Canada and Mexico would be hit the hardest by Trump's tariffs?* Peterson Institute for International Economics. Retrieved February 5, 2025, from https://www.piie.com/research/piie-charts/2025/which-imports-canada-and-mexico-would-be-hit-hardest-trumps-tariffs

[4] The Administration. (2025). *President Donald J. Trump imposes tariffs on imports from Canada, Mexico and China*. The White House. Retrieved February 6, 2025, from https://www.whitehouse.gov/fact-sheets/2025/02/fact-sheet-president-donald-j-trump-imposes-tariffs-on-imports-from-canada-mexico-and-china/

მიუხედავად იმისა, რომ გაცხადებული მიზნები ეკონომიკურ ხასიათს ნაკლებად ატარებს, აშშ-ის მიერ სავაჭრო ომის დაწყება, ისევე, როგორც საპასუხო პროტექციონისტული ზომების მიღება, ეკონომიკური თვალსაზრისით, გაუმართლებელია.

გავრცელებული სტერეოტიპის მიუხედავად, ვაჭრობა არ ჰგავს სპორტულ შეჯიბრებას, სადაც ერთი მხარე იგებს და მეორე აგებს. ვაჭრობა ყველას მდგომარეობას აუმჯობესებს, რადგან ის საშუალებას აძლევს ადამიანებს, სპეციალიზდნენ იმ საქმეში, რომელშიც ისინი შედარებით უპირატესობას ფლობენ. ესე იგი, აწარმოონ ის საქონელი, რომლის დამზადება შედარებით ნაკლები დანახარჯით შეუძლიათ. როცა ინდივიდების შრომა ასეა დანაწილებული, წარმოებული დოვლათის საერთო რაოდენობა იზრდება და თითოეული ინდივიდის ეკონომიკური მდგომარეობა უმჯობესდება. თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობის პირობებში, სპეციალიზაცია და შრომის დანაწილება მსოფლიო მასშტაბის ხდება, რაც ცალკეული ადამიანის შესაძლებლობებს კიდევ უფრო მეტად აფართოებს.

ის ფაქტი, რომ კანადიდან აშშ-ის ძირითადი საიმპორტო საქონელი ენერგორესურსებია, ნიშნავს, რომ, ზოგადად, კანადელ მწარმოებლებს შედარებით დაბალი დანახარჯებით შეუძლიათ ასეთი საქონლის წარმოება. და პირიქით, კანადაში აშშ-ის ძირითადი საექსპორტო საქონელია სატრანსპორტო საშუალებები და მათი ნაწილები, რაც აჩვენებს ამერიკელი მწარმოებლების შედარებით უპირატესობას. შესაბამისად, სატარიფო ბარიერები ამერიკელი მომხმარებლისთვის გააძვირებს კანადურ ენერგორესურსებს, მექსიკაში აწყობილ ავტომობილებსა და ჩინეთში დამზადებულ ელექტროტექნიკას. მათი მწარმოებლისთვის კი ამ პროდუქტების გაყიდვა შემცირდება. საერთო ჯამში, ორივეს - უცხოელი მწარმოებლებისა და ამერიკელი მომხმარებლის - მდგომარეობა გაუარესდება[5].

---

[5] დონალდ ტრამპმა, პირველი საპრეზიდენტო ვადის დროს, 2018 წელს, ზოგიერთ ქვეყანას, რამდენიმე სასაქონლო ჯგუფზე ტარიფები დაუწესა. გატარებული სატარიფო პოლიტიკის ემპირიული ანალიზი აჩვენებს, რომ შედეგად გაიზარდა ფასები, რამაც მომხმარებელთა მდგომარეობა გააუარესა (იხილეთ: Amiti, M., Redding, S. J., & Weinstein, D. E. (2019). The impact of the 2018 tariffs on prices and welfare. *The Journal of Economic Perspectives*, *33*(4), 187–210. https://doi.org/10.1257/jep.33.4.187 ; Fajgelbaum, P. D., Goldberg, P. K., Kennedy, P. J., & Khandelwal, A. K. (2019). The return to protectionism*. *The Quarterly Journal of Economics*, *135*(1), 1–55. https://doi.org/10.1093/qje/qjz036 ; Packard, C., Lincicome, S., & Carrillo Oregon, A. (2024). *Americans paid for the Trump tariffs—and would do so again*. Cato Institute. Retrieved February 5, 2025, from https://www.cato.org/blog/americans-paid-trump-tariffs-would-do-so-again). 2018 წლის სატარიფო პოლიტიკამ შეაფერხა ინვესტიციები და პროდუქტიულობა, რაც ნეგატიურად აისახა ზოგიერთ სექტორებში ფირმების მდგომარეობაზე (იხილეთ: Cavallo, A., Gopinath, G., Neiman, B., & Tang, J. (2021). Tariff Pass-Through at the Border and at the Store: Evidence from US Trade Policy. *American Economic Review Insights*, *3*(1), 19–34. https://doi.org/10.1257/aeri.20190536 ; Amiti, M., Redding, S. J., & Weinstein, D. E. (2020). Who's Paying for the US Tariffs? A Longer-Term Perspective. *AEA Papers and Proceedings*, *110*, 541–546. https://doi.org/10.1257/pandp.20201018)

ტარიფები არა მხოლოდ - ამერიკელ მოხმარებელს, არამედ სხვადასხვა ინდუსტრიაში ადგილობრივ მწარმოებლებსაც დააზიანებს. ამის საჩვენებლად კარგი მაგალითია ავტოინდუსტრია[6].

ავტომობილები და ავტონაწილები აშშ-ს, კანადასა და მექსიკას შორის უმსხვილესი სავაჭრო საქონელია. არსებულმა თავისუფალმა ვაჭრობამ არსებითად გაზარდა კომპანიების სპეციალიზაცია და შედეგად, ისეთი წარმოების და მიწოდების ჯაჭვები შეიქმნა, რომლებიც სამივე ქვეყნის საზღვარს მრავალჯერ კვეთს. შეერთებულ შტატებში გაყიდული ყოველი ხუთი ავტომობილიდან, ერთზე მეტი მექსიკაში ან კანადაშია აწყობილი,[7] თუმცა, სანამ ავტომობილი ამ ორ ქვეყანაში საბოლოოდ აეწყობა, მისი ცალკეული კომპონენტები შეიძლება საზღვარს 6-8-ჯერ კვეთდეს[8]. მექსიკაში ან კანადაში ავტომობილის ასაწყობად საჭირო არაერთი კომპონენტი ამერიკაშია წარმოებული, ან აშშ-ში ავტომობილის აწყობისას, ამ ორ ქვეყანაში წარმოებული ნაწილები გამოიყენება[9]. ამდენად, ტარიფების პირობებში, მექსიკაში აწყობილი ავტომობილების ფასიც გაიზრდება და ამერიკაში მანქანის ამწყობის ხარჯებიც. არაერთი გათვლით, ტარიფების ამოქმედების შედეგად, აშშ-ში წარმოებული მანქანის ფასი საშუალოდ 2.7 ათასი დოლარით მოიმატებს[10], რაც დააზიანებს არა მხოლოდ ამერიკელ მომხმარებელს, არამედ - ადგილობრივ მწარმოებელსაც.

---

[6] Contreras, J. (2024). *Restricting imports of Mexican vehicles will harm US manufacturers*. The Peterson Institute for International Economics. Retrieved February 6, 2025, from https://www.piie.com/blogs/realtime-economics/2024/restricting-imports-mexican-vehicles-will-harm-us-manufacturers

[7] S&P Global Mobility. (2025). *North American automotive industry faces unprecedented challenges as tariffs loom*. S&P Global. Retrieved February 6, 2025, from https://press.spglobal.com/2025-02-04-North-American-Automotive-Industry-Faces-Unprecedented-Challenges-as-Tariffs-Loom,-according-to-S-P-Global-Mobility

[8] Black, T., Scott Diamond, J., & Merrill, D. (2017). *One tiny widget's dizzying journey through the U.S., Mexico and Canada*. Bloomberg. Retrieved February 6, 2025, from https://www.bloomberg.com/graphics/2017-trump-protectionism-alters-supply-chain/?embedded-checkout=true

[9] NHTSA. (2024). Product Information Catalog. In *The National Highway Traffic Safety Administration*. Retrieved February 6, 2025, from https://www.nhtsa.gov/sites/nhtsa.gov/files/2024-06/MY2024-AALA-Alphabetical-6-3-24.pdf

[10] Domonoske, C. (2025). *Trump pauses tariffs on Canada and Mexico. Here's why it matters to automakers*. NPR. Retrieved February 13, 2025, from https://www.npr.org/2025/02/03/nx-s1-5285546/trump-tariffs-canada-mexico-autos

გრაფიკი 1: აშშ -ში საქონელის იმპორტი, მლრდ დოლარი



წყარო: სტატისტიკური აღწერის ბიურო

ამრიგად, დონალდ ტრამპის პროტექციონისტული სავაჭრო პოლიტიკა, ვნებს ამერიკელ მომხმარებლებს და აზიანებს არაერთი ინდუსტრიის მწარმოებლებს. თუმცა, უცხოური კონკურენტების შეზღუდვით, ცალკეული მწარმოებლებისთვის სარგებლის მომტანია. ასევე, რადგან სატარიფო პოლიტიკა გადასახადების დაწესებაა, იზრდება საბიუჯეტო შემოსავლები. მიუხედავად ამისა, სატარიფო პოლიტიკის პირობებში, საერთო კეთილდღეობა უარესდება, რადგან მცირე ჯგუფის მიერ მიღებული სარგებელი ვერ აკომპენსირებს მომხმარებელთა დიდი ნაწილისა და მწარმოებლების დანაკარგს. ეს კი ეკონომისტების მიერ დიდი ხნის წინ შესწავლილი საკითხია და ემპირიული მხარდაჭერით სარგებლობს[11].

თუმცა, ჯერჯერობით, სავაჭრო ომი სრულმასშტაბიანი არ გამხდარა, რადგან ტარიფები მხოლოდ ჩინეთიდან იმპორტზე ამოქმედდა, ხოლო კანადისა და მექსიკის შემთხვევაში, შეთანხმების საფუძველზე, ერთი თვით გადაიდო. შეთანხმების თანახმად, შეერთებული

[11] Ossa, R. (2014). Trade Wars and Trade Talks with Data. *American Economic Review*, *104*(12), 4104–4146. https://doi.org/10.1257/aer.104.12.4104 ; Kutlina-Dimitrova, Z. (2017). The economic impact of the Russian import ban: a CGE analysis. *International Economics and Economic Policy*, *14*(4), 537–552. https://doi.org/10.1007/s10368-017-0376-4 ; Feenstra, R. C. (1992). How Costly is Protectionism? *The Journal of Economic Perspectives*, *6*(3), 159–178. https://doi.org/10.1257/jep.6.3.159; Abboushi, S. (2010). Trade protectionism: reasons and outcomes. *Competitiveness Review an International Business Journal Incorporating Journal of Global Competitiveness*, *20*(5), 384–394. https://doi.org/10.1108/10595421011080760 ; Kutlina-Dimitrova, Z., & Lakatos, C. (2017). The global costs of protectionism. In *World Bank*. https://hdl.handle.net/10986/29013

შტატების საზღვრებთან 10-10 ათას ჯარისკაცს განალაგებენ და ნარკოტრაფიკის წინააღმდეგ იბრძოლებენ. აღსანიშნავია, რომ მექსიკასთან მსგავსი შეთანხმება ჯერ კიდევ ჯო ბაიდენის ადმინისტრაციის დროს არსებობდა[12]. ეს ფაქტი და ამოქმედების დაყოვნება, შესაძლოა მიუთითებდეს, რომ აშშ-ის ორი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნიდან იმპორტზე მაღალი ტარიფების დაწესებისგან თავის შეკავებით, პრეზიდენტ ტრამპსა და მის ადმინისტრაციას, მიზნის მიღწევის ილუზიის შექმნით, სახის შენარჩუნება სურთ, მას შემდეგ, რაც გამოცხადებული ტარიფების ზიანის მასშტაბზე აქტიური დისკუსია დაიწყო.

[12] Guardian. (2017). Biden strikes international deal in bid to stop migrants reaching US border. *The Guardian*. https://www.theguardian.com/us-news/2021/apr/12/biden-migration-security-deal-mexico-guatemala-honduras ; Bensman, T. (2024). Hundreds of thousands of migrants are being held in southern Mexico until US election day — and are eager to rush border. *New York Post*. https://nypost.com/2024/10/23/opinion/hundreds-of-thousands-of-migrants-are-being-held-in-southern-mexico-until-us-election-day-and-are-eager-to-rush-border/?utm_source=chatgpt.com